

საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, ამ დებულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. ეს დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) ფუნქციებსა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

მუხლი 2 დეპარტამენტის ფუნქციები

დეპარტამენტი უზრუნველყოფს:

- ა) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულებისათვის მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტებას და დანერგვას;
- ბ) უნივერსიტეტის თანამშრომელთა და სტუდენტთა კომპიუტერთან დამოუკიდებელ მუშაობას;
- გ) თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პროექტების განხორციელებაში მონაწილეობას;
- დ) უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკის მონიტორინგს;
- ე) უნივერსიტეტის კომპიუტერული ტექნიკის შეკეთებასა და პროგრამულ უზრუნველყოფას;
- ვ) უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრების გამართულ მუშაობას, მ.შ. ხელშეკრულების საფუძველზე დაინტერესებული პირებისათვის მომსახურების გაწევის უზრუნველყოფას.

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა

1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.

2. დეპარტამენტის უფროსი:

- ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
- ბ) წარმოადგენს დეპარტამენტს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია დეპარტამენტზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე;
- გ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, თანამდებობრივი ინსტრუქციის შესაბამისად, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
- დ) ზედამხედველობს დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
- ე) წარადგენს ანგარიშს დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
- ვ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის თვალსაზრისით;
- ზ) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს დეპარტამენტის შიდა სტრუქტურის, შტატების, მუშაობის ორგანიზაციის, დეპარტამენტის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
- თ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია დეპარტამენტის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;
- ი) შუამდგომლობს დეპარტამენტის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების თაობაზე;
- კ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. დეპარტამენტის უფროს ჰყავს ორი მოადგილე, რომელთა უფლებამოვალეობები განისაზღვრება თანამდებობრივი ინსტრუქციებით;

4. დეპარტამენტში გაერთიანებულია საუნივერსიტეტო კომპიუტერული ცენტრები, რომლებსაც ხელმძღვანელობს საუნივერსიტეტო ცენტრის უფროსი;

5. დეპარტამენტში ინჟინერ-პროგრამისტებისა და სპეციალისტების რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის შესაბამისად.

6. დეპარტამენტის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

7. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. დებულება ძალაშია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ მისი დამტკიცების მომენტიდან.
2. დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების ან/და დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემთხვევაში.